

## არიან დღენი

არიან დღენი, ხანჯალივით ბასრი და მჭევრი,  
ოდეს სისხლივით აღელდება ოცნება შენი.  
შენ გელანდება მოკლულებით ფენილი ტვერი,  
შენ გინდა იყო უსულგულო ცხოვრების მტვერი,  
ელვარე ცეცხლით გადაბუგო მთანი და ტყენი,  
არიან დღენი, საუკუნოდ უფრორე მძლენი.  
ტყვია-წამლით და დინამიტით მსუნთქავი ქვევრი.  
აფეთქებანი, შეკვივლება, ძახილი, ბევრნი  
არიან დღენი.  
არიან დღენი... ცეცხლისა და მახვილის კვერი,  
ათასწლოვანი ადგილიდან სხლტებიან კლდენი:  
იმ გულს ეკუთვნის თვითეული თემა, შედევრი.  
არიან დღენი.